

#9, ნოემბერი, 2007

## იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული  
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია  
სოციალურ სფეროზე ორიენტირებული  
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის  
იურიდიული მომსახურება.

### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების  
მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში  
წარმომადგენლობას  
ადმინისტრაციულ ორგანოებში  
და სასამართლოში.

### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული  
კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)

ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას  
ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

## სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე  
საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



## წიგნის პრეზენტაცია

30 ოქტომბერს ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრში გაიმართა  
ინკლუზიური განათლების სფეროში მოღვაწე ცნობილი ნორვეგიელი  
სპეციალისტების ნაშრომთა კრებულის პრეზენტაცია.

ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნი, სახელწოდებით – „განსხვავებული  
საჭიროებების მქონე პირთა განათლება“, ინკლუზიური განათლების

(გაგრძელება მე-2 გვ.)

*(გაგრძელება)*

მრავალ ასპექტს მოიცავს და განკუთვნილია როგორც განათლების სფეროში მომუშავეთათვის,



ისე ფართო მკითხველისთვის. სპეციალურად ქართველი მკითხველისთვის ავტორებმა წიგნი განაახლეს და შევსებული ნაშრომი ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეას“ მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.



გამოცემა ოთხი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილში განხილულია სპეციალური განათლების პრინციპები ინკლუზიის პროცესში და პერსპექტივები პრაქტიკულ საქმიანობაში. მეორე ნაწილი გთავაზობთ შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების, როგორც პროფესიის და სამეცნიერო კვლევითი დისციპლინის განხილვას და სათანადო გარემოს შექმნას მაღალი ხარისხის განათლებისა და განვითარების პირობებით. მესამე ნაწილი მოიცავს მეთოდოლოგიურ საკითხებს. მეოთხე ნაწილი ეხება მასწავლებლებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ინკლუზიის განვითარების პროცესში.

წიგნის ქართული გამოცემის მთავარი რედაქტორი, ასოციაცია „დეას“ აღმასრულებელი დირექტორი მადონა ხარებავა წერს – „... საქართველოში დღეს ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით, საინფორმაციო ვაკუუმი პირველი რიგის პრობლემათაგანია ... წიგნი სწორედ ამ საინფორმაციო ვაკუუმის გადალახვის გზაზე გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია...“

ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“ 1998 წელს დაფუძნდა. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ადამიანის უფლებების დაცვა, განათლება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. ასოციაციამ 25-ზე მეტი პროექტი განახორციელა, გამოსცემს გაზეთს, ეწევა იურიდიულ კონსულტაციას, ატარებს საქველმოქმედო ღონისძიებებს, შეიმუშავა ინვალიდობის სფეროში ომბუდსმენის კონცეფცია, გამოსცა პირველი ქართული სახელმძღვანელო „გზა ინკლუზიისაკენ“.

**სიახლეები**

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, 5,6,7 დეკემბერს მართავს ტრენინგს თემაზე – “პროექტის შედგენის ჩარჩოები”. მონაწილეები დაეუფლონ პროექტის დაგეგმვის - LE/RF მოდელების მიხედვით საპროექტო განაცხადის მომზადების უნარ-ჩვევებს. მონაწილეები გაეცნობიან პროექტის წერისა და დიზაინის ძირითად პრინციპებს და განმასხვავებელ ნიშნებს, დაეუფლებიან ინფორმაციის ანალიზის მეთოდს, პრობლემების ანალიზზე დაყრდნობით შეძლებენ ინტერვენციის ლოგიკის აწყობას, გაეცნობიან ინდიკატორების ცნებასა და მახასიათებლებს, გაეცნობიან პროექტის წარმატებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორებსა და EU, US გაიდლაინებს.

## სოციალური პოლიტიკის, მისი აქტორების და სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების და ინფორმირებულობის კვლევის შედეგები

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა დაამთავრა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური პოლიტიკის, მისი აქტორების და სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების და ინფორმირებულობის შესწავლას.

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ეს რიგით მეორე კვლევაა.

შეგახსენებთ, პირველი კვლევა უშუალოდ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ განვითარებას ეხება (კვლევის სრული ვერსიის ნახვა შეგიძლიათ ვებ-გვერდზე <http://www.civilin.org/welfare>).


სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი გაგაცნობთ სოციალური პოლიტიკის, მისი აქტორების და სოციალური ზრუნვის ჯგუფების მიმართ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის და დამოკიდებულების კვლევის შედეგებს.

კვლევა 2007 წლის ივლისში, საქართველოს 10 ქალაქში ჩატარდა და მონაწილეობა მიიღო 1504-მა რესპონდენტმა. ამჯერად გთავაზობთ მოსახლეობის დამოკიდებულებას ინკლუზიური განათლების შესახებ, რომელიც კვლევის ერთ-ერთ საგანს შეადგენდა. როგორც კვლევამ აჩვენა, ინკლუზიური სწავლების შესახებ გამოკითხულთა 68.4%-ს არაფერი სმენია.

მათ შორის, ვისაც სმენია ინკლუზიური სწავლების შესახებ უმეტესობა (51.5%) თანახმაა მისმა შვილმა ისწავლოს სკოლაში, სადაც ინკლუზიური სწავლებაა. 24.6%-ი დაფიქრდებოდა სანამ შვილს ასეთ სკოლაში მიიყვანდა, 13%-ი შეეცდებოდა სხვა სკოლაში მიეყვანა შვილი, ხოლო 9.1%-ი გადაიყვანდა შვილს სკოლიდან

თუ ამ სკოლაში ინკლუზიურ სწავლებას შემოიღებდნენ (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.




ინტერვიუს დროს იმ რესპონდენტებს, ვისაც არ ჰქონდათ ინფორმაცია ინკლუზიური სწავლების შესახებ, ეძლეოდათ ინკლუზიური სწავლების განმარტება, რის შემდეგ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია ინკლუზიური სწავლების მიმართ. მათი მესამედი (32.4%) თანახმაა, რომ მისმა შვილმა ისწავლოს სკოლაში, სადაც ინკლუზიური სწავლებაა, 28.2%-ი დაფიქრდებოდა, სანამ შვილს ასეთ სკოლაში მიიყვანდა, 22.4%-ი შეეცდებოდა სხვა სკოლაში მიეყვანა შვილი, ხოლო 17.04%-ი გადაიყვანდა შვილს სკოლიდან თუ ამ სკოლაში ინკლუზიურ სწავლებას შემოიღებდნენ (იხ. დიაგრამა 2).

(გაგრძელება მე-4 გვ.)

კვლევა

(გაგრძელება)  
დიაგრამა 1.



თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, **სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში**, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს. ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: [welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მუშაობს პროექტის ვებ-გვერდი, სადაც იხილავთ ინფორმაციას პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ. ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია



ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია. ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების/კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები.

პრესის მონიტორინგი




სოციალურ სფეროზე

ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“ („ბასტა“, „მთელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“, „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

ოქტომბრის თვის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდა 42 პუბლიკაცია.



- 24 საათი
- რეზონანსი
- სარკე
- ალია
- კვირის პალიტრა
- ჯორჯიან თაიმსი
- ახალი თაობა


თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებაზე 15 პუბლიკაცია ინფორმაცია დაიბეჭდა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილების და ბავშვების შესახებ 15, ხოლო

მარტოხელა მოხუცების, მზრუნველობამოკლებული ბავშვების შესახებ თითო-თითო პუბლიკაცია დაიბეჭდა, ქუჩაში მყოფ ბავშვების თემაზე – 2 ინფორმაცია პუბლიკაცია. სხვადასხვა პროგრამის შესახებ 3 წერილი დაიბეჭდა, ხოლო აივ ინფექციის შესახებ – 5.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



- მზრუნველობამოკლებული
- მიუსაფარი
- ცერებრალური დამბლით დაავადებული
- დამბლით დაავადებული
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
- უნარშეზღუდული
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე
- შეზღუდული უნარების მქონე
- უსინათლო
- სმენადაქვეითებული
- ფსიქიკური პრობლემების მქონე
- ინვალიდი
- ქუჩის ბავშვი
- უპოვარი
- უპატრონო ბავშვთა სახლი